

ახალგაზრდა იმპერიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი

შაბათი,
31 მარტი,
1990 წ.
№ 35 (11551)

ფანი 9 აპრი

საპარტოვლოს კომუნისტური პარტიის ნაწილობრივ დაშლის დადგენილება

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მონაწილის ვადების, წინასაყრილობო კავანის ჩატარების, ნაკომადგენლობის ნორმისა და დელეგატთა არჩევის წესის შესახებ

1. მოწვეულ იქნეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა 1990 წლის 15 მაისს ქ. თბილისში.

2. მიღებულ იქნეს ცნობა, რომ ყრილობის დღის წესრიგი განსაზღვრულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მიერ.

3. დაწესდეს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი პარტიის 560 წევრისათვის.

4. ნება დაერთო პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის საკითხთა კომისიის წინადადებების გათვალისწინებით თვითონ განსაზღვრონ წინასაყრილობო კავანის ჩატარების ფორმები, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატების არჩევის წესი.

5. ანგარიშგება-არჩევნები, კრებები და კონფერენციები საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატთა ასარჩევად გაიმართოს 1990 წლის 30 აპრილიდან.

6. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია მიეცათ ამ კრებებსა და კონფერენციებზე განიხილონ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ამ მხრივ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის საკითხი, შეიმუშაონ კომუნისტთა კონსოლიდაციის, პარტიული მუშაობისადმი ახლებური მიდგომის, პარტორგანიზაციების ქმედუნარიანობის გაძლიერების წინადადებები.

7. კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საარევიზიო კომისიის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებები დაამუშაოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილებამ.

8. დელეგატთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, პარტიული აქტივის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივობის წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნას შედეგი სამუშაო ჯგუფები:

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და ყრილობის დადგენილებათა პროექტების მოსამზადებელი;

— წინასაყრილობო დისკუსიის, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარების, პარტიული პრესის მიერ წინასაყრილობო კავანის გაშუქების ორგანიზაციისა და ამის შედეგად მიღებული მასალების ანალიზის;

— პარტიული კონტროლისა და საარევიზიო მუშაობის სისტემის გარდაქმნის წინადადებების შემუშავების;

— პარტიული ბიუჯეტის ფორმირებისა და გასაყვლის, საწევრო პარტიული შენატანების გადახდის ნორმების, პარტიული აპარატის საშუალო განრიგის შესახებ წინადადებათა მოსამზადებელი.

9. პარტიულმა პრესამ სისტემატურად გააშუქოს პარტიული კრებებისა და კონფერენციების მიმოინარეობა, წინასაყრილობო საშუაღისი, დელეგატებზე არჩეულ კომუნისტთა პირადი და საქმიანი თვისებები, მათი პოზიციები პარტიული მუშაობის გარდაქმნის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის როლისა და ადგილის განსაზღვრის საკითხებთან დაკავშირებით.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შექმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის სტატუსის შესახებ წინადადებების, პარტიის პროგრამის თვისებისა და წესდების პროექტის მოსამზადებელი კომისია.

კრისტინაულ-დე-მორაბიული კავ-შირის წესდებისა და პროგრამის ახალი რედაქცია.

მე-2-33.

საუბარი აკადემიკოს ვერაქლე გავრალიქსთან მხრინავი თეფხები, კოლტარპის-ბეგი და სხვა.

მე-4-5 33.

"ილიკო და ილიკოვის" მორიგი გამოშვება

მე-6-7 33.

ამ ბოლო ხანებში მიტინგებსა თუ მრავალრიცხოვანი თავშეყრის სხვა ადგილებში არაერთხელ ითქვა საგადასმელი სახეობის სამხედრო სამსახურში გაწვეულთა დევნა-შევიწროებისა თუ მკვლელობის აღმავლობითი ფაქტების შესახებ. ეს დღეს სრულიად საქართველოს სატყვეობისა და საფიქრალია. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ახლანა ხულოში გამართული სახელმწიფო მიტინგიც. 24 მარტი ხულოში გაიხსნა დღის დროს დადგინდა, მათ განგაშის ზარების დარისხების სრული უფლება აქვთ — მარტო წლეულს სავალდებულო სამხედრო სამსახურში რაიონიდან გაწვეულთაგან ხუთი ახალგაზრდა დაიღუპა, ოთხი ტაშკენტის სამხედრო ოლქში, ერთიც ბაქოში.

მიტინგის მონაწილეებმა თანაგრძობა გამოუცხადეს დადებული ჯარისკაცების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს და გამოხატეს აღშფოთება იმის გამო, რომ სულ უფრო გაზიარდა საგადასმელი სამხედრო სამსახურში გაწვეულ ქართველ ჯარბუნებში და მკვლელობის ფაქტები. ამის უმოკრესი მიზეზი სამხედრო ნაწილებში დისციპლინის უკიდურესი მოშლაა, რასაც ემატება მეთაურთა მიერ მომხდარის შესახებ ყალბი ინფორმაციის მიცემისა და ფაქტების შელამაზების ცდა, რის გამოც ძნელდება ქვეშევრდების დადგენა. მიტინგის მონაწილეთა განწყობილება და სურვილი გამოიხატა რეზოლუციით, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

1990 წლის 24 მარტს ხულოს რაიონულ სენატში გაართული საგლოვიარო მიტინგის რეზოლუცია

1) საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას სპეციალური კომისია იურისტების, სამხედრო კომისარატისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც 1990 წლის 10 აპრილიდან მივლინებულ იქნებიან დადებული ჯარისკაცების სამხედრო ნაწილებში ქვეშევრდების დასადგენად. ინფორმაციას შემდგომ მიაწვდიან მოსახლეობას, დალუპულთა ახლობლებს.

ეთხოვოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შემწეობა აღმოუჩინოს კომისიას და თუ საჭირო გადგება, დასვას საკითხი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო პროკურატურის წინაშე.

ეროვნული საჯარისო ფორმირების შექმნამდე აღსრულდეს ქართ-

ველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნა საგადასმელი სამხედრო სამსახურის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდის შესახებ; ამ მიზნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ყველა ქართველი ჯარისკაცი გადმოყვანილ იქნას რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში, რათა მათ აქ გაიარონ სავალდებულო

რო სამსახურის დარჩენილი პერიოდი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაატარონ.

დაუყოვნებლივ გადაწყდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ ქართველი ჯარისკაცების დაბრუნების საკითხი, რომლებიც ამჟამად მსახურობენ დალუპული ჯარისკაცების სამხედრო ნაწილებში.

2) აღნიშნული რეზოლუცია გამოქვეყნდეს რესპუბლიკის პრესაში, დაეგზავნოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3) მიტინგის მონაწილენი მოუწოდებენ სრულიად საქართველოს, მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნებს.

რეზოლუცია

როგორც ხედავთ, კვლავ გრძელდება გენოციდი საბჭოთა ჯარში მომსახურე ჩვენი ბიჭების მიმართ, ხულოში განართულ მიტინგზე მოტანილი ფაქტები ამის კიდევ ერთი დადასტურებაა. ჩვენ მწუხარებას გამოვთქვამთ დალუპულთა გამო, თანაგრძობის მათ ახლობლებს, ვესწრაფვით სიმართლის დადგენასა და დამნაშავეთა დასჯას, მაგრამ ამავე დროს უფლება არა გვაქვს უფრო მეტი ყურადღება არ გამოვიჩინოთ ცოცხალთა მიმართ, არ ვიზრუნოთ მათ სიცოცხლესა და მომავალზე. შეშფოთება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთა ბედის გამო ამ დღეებში იმანაც გავიგემაფრა, რომ ახლოვდება სისხლიანი 9 აპრილის წლისთავი. ბუნებრივია, სრულიად საქართველოს სწრაფვა თბილისისაკენ, რუსთაველის პროსპექტისაკენ, იმ წმინდა ადგილისაკენ, სადაც მამულიწვილთა სისხლი დაიდგარა, რათა პატივი მიაგოს მათ ხსოვნას. რედაქციაში მოსული ჯარისკაცული ბარათებიდან აშკარა ხდება, რომ რესპუბლიკის გარეთ მყოფ ბევრ ჯარსს სურს, იმ დღეებში აქ იყოს, თბილისში, ბეგრძი, თურმე, თავის ნაწილში აპირებს 9 აპრილის განსაკუთრებულად აღნიშვნას, გამოსვლების მოწყობას. ჩვენ ახლა ვაგაძრობთ ერთი ბარათის ავტორთა გვარებს, მათ მისამართს და ვთხოვთ მათ მშობლებს, ახლობლებსა თუ ნაცნობებს, საერთოდ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია თითოეული ქართველის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, მიაწვდიან მათ ხმა, დაამშვიდოთ ისინი და დაარწმუნოთ იმაში, რომ ეს ძალზე საშიშია არა მხოლოდ მათთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, რომელსაც

მართლაც არ ჰყავს დასაჯარავი შვილები; მისიონ კეთილგონიერების ხმას და ნუ მისცემენ ჩვენი ავის მოსურნე სისხლიან ბარბარულს თვითონ ბილწი ზრახვების ასრულების საშუალებას. გთხოვთ, შეახსენოთ მათ, რომ სიმბოლურ და სიფრთხილეს სულაც არ არის სინონიმური ცხებები, შეახსენოთ მათ ის სიბრძნე, რომელსაც არაერთხელ გადაურჩინა ჩვენი გონიერი და შორსმჭვრეტელი ერთი: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

ვისხნათ ჩვენი შვილები და ძმები. შ. ოქრომელიძე, დ. კირვალიძე, დ. კვხაძე, ი. გოვაჯა, მ. კოტრიკაძე, კ. კვიციანიძე, გ. სოსელია, გ. გოვატიშვილი, კ. ხუჭაძე, კ. ხანდოძე, მ. რევიშვილი, კ. კოროშინაძე, ო. ქაშაშვილი, ზ. ჯაფარიძე, კ. რობაქიძე, ლ. ჭგერენია, ტ. სონძია, გ. დავითაძე, რ. როდონია, ნ. ტალახაძე, რ. დუმბაძე, ს. მდინარაძე, ა. ღვინევაძე, რ. რუსია, ს. კვეციანი, ც. ბაღდასარიანი, გ. ფაღელავაშვილი, გ. ლურჯაია, კ. წიტიძე, მ. ქუჩიშვილი, გ. დევიძე, ფ. ლატარია, ზ. ბერიძე, ე. ხინიკაძე, დ. მამუჩარაშვილი, თ. პლაჭიაშვილი, ჯ. მამუჩაშვილი (ბევრი ხელმოწერა გაურკვეველია, ამიტომ შესაძლებელია ზოგიერთი გვარი არასწორად დაგებულყო).

მათი მისამართია 322026. УССР, Днепропетровская область, г. Новомосковский — 26, в/ч 35982.

საღალღო სტრიქონები პიროვნული ჩეხვიონების სტარტზე

15 თებერვალი, 1990 წელი

შენ არ იცი ამ დღის ფასი, ბედმა თუ რა გვარგუნა: ქართველები ჩვენს მამულში ვითამაშებთ ქართულად!

სულ სხვა თასი გვექნება და სულ სხვა ოქროს თოვა...

ფიზიკადაც კი ხმები მოვა, მალე მოვა!

აწი ველარ გავგამარებს პენალტებით იმპერია, აგერ, გუნდოც გადავინათლეთ, თან სახელიც იმფერი აქვს, გლახად რავე ითამაშებს ამის მერე „იმერია“..

ქართველმა მცველმა ქართველ თავდამსხმელს თუ მოამტერია კანკი, მასურებლები შეიძლებენ, როგორც ჩაყოს და კვაყის!

შუმბახის ქართველ მიკებზე თარმე უთხრობდა მაგათი: — ნეტავი მოგვცა ფინტები და ფანტაზია მაგათი!

გაბა სორნაული



„ახალგაზრდა კომუნისტის“
ილიკო & ილარიონი
სატირისა და იუმორის კლუბი



კლუბი იოსოვს

სუპერინტენს

გასული წლის საპირველადირო გამოშვებაში, ტყუილების ხანჭვირებულ დღეს ვიცრუეთ, თითქოსდა „ილიკო და ილარიონის“ კლუბი იხურებოდა. არ გახულა დიდი დრო მას შემდეგ, რომ ვიღაც ქალბატონს დაურეკავს გაზეთის რედაქტორისთვის და უკითხავს: — მართლა იხურება, შვილო, „ილიკო და ილარიონის“ კლუბი?

— დიახ, ქალბატონო, იხურება — არ გაუმხელია ჩვენი საიდუმლო რედაქტორს.
— კი დაგემართოს, შვილო, ადრე იყო ეგ კლუბი დახაზური! — გახარება ქალს და დაუდვია ყურმილი.

ჩვენი თვის უცნობი დარჩა იმ პატივცემული მანდილონის ვინაობა, მაგრამ ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს გაახარებდა მხახვით ჩვენი კლუბის დახურვა: ძველ ნაკომკავშირლებსა თუ ხაზოვადობებს „სტალინის“ მესვეურებს, ზოგიერთ ვეტერან ხაზოვებებს თუ მავან ექსტრაქსებს — ყველას, ვისაც საკუთარ თავზე უწევიათ კლუბის მიერ მათთვის გამოტანილი პირმოუფრებელი განაჩენი.

მათი საბახუბო რეაგირების პათოსი სრულიად გასაგებია ჩვენთვის, მაგრამ ის არის ზოგჯერ გაუგებარი, თუ რატომ გვიდებიათ ზიზზის ზოგჯერ ჩვენი თანამომე პრესის ორგანოები, რომლებიც იმავე დროს დიდხულოვნად უთმობენ ადგილს ჩვენი კლუბის მიერ მომზადებულ მახალბებს საკუთარ ფურცლებზე!

მაგრამ ჩვენ არ გვიკვირს კლუბის მიმართ მხახვის დამოკიდებულება: კარგად ვახლავართ გარკვეული ასეთი საქციელის ფიქლოლოგიურ წინამძღვრებში. ადრითგანვე ცნობილია, რომ ხიზანა და მოიჭარადრეს ყოველთვის ათასი ბატონი გამოუჩნდებოდა ხოლმე და თუმცა ძველი „ახლომისა“ და აწინდელი „ახალგაზრდა იმერიელის“ ფურცლებზე ჩვენი კლუბი მთლად ურიგოდ არა გრძნობს თავს, ეტყობა, დღეისათვის სხვა უფლებები და საშუალებანი სჭირდება, რათა უბატონოდ ხმის გაცემა ვერავინ გაუბედოს. ამიტომ არის, რომ კლუბიც, სრულიად საქართველოს დარად, ესწრაფვის აბსოლუტურსა და რეალურ სუვერენიტეტს და მიმართავს ყველა კულტურულ-მანათლებლო დაწესებულებას, ვინც დაინტერესებულია მისი საქმიანობით: ძვირფასო მეგობრებო!



მეხუთე წელია, რაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფუნქციონირებს სატირისა და იუმორის კლუბი „ილიკო და ილარიონი“. ამ ხნის მანძილზე მას თავისი მკითხველი გაუჩნდა და ავტორთა გეოგრაფიაც მთელი რესპუბლიკის ფარგლებს მოიცავს. კლუბი განუხრვლად იცავს თავის პრინციპებს:

1. სატირა და იუმორი ჩაყენოს ეროვნული მოძრაობის ხამხაზურში, 2. არ გადაუხვიოს ინტელექტუალური იუმორის გზიდან, 3. არ ცნოს არავითარი ავტორიტეტები.

თუ საქართველოში მოიძებნება სპონსორი, რომელიც გაიზიარებს ჩვენს მრწამსსა და კრიტიკურობებს და შეძლებს ხელშეკრულების დადებას გამოცემლობასთან, საფინანსო საკითხების მოგვარებას და ქალაქით უზრუნველყოფას — კლუბი მზად არის მახთან სათანამშრომლოდ. ხოლო მკითხველს შეგვიძლია დავპირდეთ, რომ იგი მიიღებს ახალ პერიოდულ ორგანოს: პირველ ქართულ სატირულ-იუმორისტულ გაზეთს!

„ილიკოსა და ილარიონის“ კლუბის საბავო

ნიკაურტი



ლევან კილაძის ნახატები

ფიზიკადაც უპი

პატარა ანანო საბავშვო ბაღში დადის. ერთ დღეს, საბავშვო ბაღიდან მოსვლის შემდეგ დედამისს ეუბნება: — დედიკო, გამოყავი, რა, ენა? დედის გაუკვირდა და ხომ არაფერი ეშლებოდა, თხოვნა გაამეორებინა. როდესაც ანანომ დაიკინა, დედა დაჰყვა მის ნებას და მაშინ იკითხა ანანომ: — ესაა ის „დედაენა“, გოგებაშვილმა რომ დაწერა? (თურმე

იმ დღეს „დედა ენის“ შესახებ უყვებოდათ ბაღში მასწავლებელი).

(3 წლის ანანო ხუციშვილი, რუსთავი).

პატარა ზალიკო დარჩია მუხლებზე უზის მამას. აქაოდა დათვლა ვიცო, ნეკიდან დაწყებული დინჯად, დაჯერებით თვლის და თითებს ხრის: ერთი, ორი, სამი ოთხი, აგი მურაბაში ვსტიკი! — ახ-

სენდება და სერიოზული სახით უჩვენებს გამართულ საჩვენებელ თითს მამას.


(ზალიკო დარჩია, როცა იგი 3 წლის იყო, თბილისი).

პატარა გუბაზი ყურადღებით დასცქერის დედას, რომელიც საფენებში ახვევს მის პატარა ძამიკოს და ეკითხება:


- დედა, შენ ხომ თუში ნარ?
- კი, შვილო!
- აბა, გურულებს რაფერ გვაჩენ?

(4 წლის გუბაზ კუტუბიძე, თბილისი)

ხვალ პირველი აპრილია



ფ. ს. (გ. ს.)



გონა გოგალიშვილის, ვასილ გულუაშვილის, ღვთისმშობლისა და გივი პეტრიაშვილის ნახატები.

უზუსის თვალში

აგრონომი-მოსავლის მხარე

პიპილოტის კომპიუტერობაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მეტისმეტად მკაცრი, მეტიც, სასტიკი აგრონომი მუშაობდა. მისი ყველას საშინლად ეშინოდა, რადგან იცოდნენ ამ კაცის იშვიათი უნარის შესახებ: აგრონომის დანახვავზე მხოლოდ ხალხი კი არა, მწიფე პამიდვრებიც ისე ფოთრდებოდნენ, უკვე ვერანაირად ვეღარ მოდიოდნენ ფერზე.

მასტრანსის მხარე

სამი სენისის შემდეგ ექსტრასენსმა ჩუმკოვსკიმ ისე განკურნა ყრუ-მუნჯი ახალგაზრდა, რომ ეს უკანასკნელი არა თუ მხოლოდ ალაპარაკდა, არამედ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა თარგმანის თანამდებობაზე.

ჯემალ ვეპუა,
(გულრიფშის რ-ნი, სოფ. ქვე-მო-ფშავი)

განცხადება

გაზეთებიდან შევიტყე, რომ ქვეყანაში შექმნილა პრეზიდენტის ინსტიტუტი. მინდა ვცადო ჩემი

თავი და ჩავაბარო მისადები გამოცდები ამ ინსტიტუტში.

გთხოვთ, მომცეთ პრეზიდენტის ინსტიტუტის მისამართი და შემატყობინოთ, რა საბუთებია საჭირო შესაგროვებლად.

ასლი ვადალო
ბიძინა ჯალიაშვილი
(რუსთავი)

მხელი სათაურები — ახალი შინაარსით

მომავალი კვირიდან ჩვენი დედაქალაქის ეკრანებზე გამოვა ძველი სახელწოდების ფილმები ახალი შინაარსით:

„წითელი ეშმაკუნები“ — ფილმი მოგვითხრობს ერთი ქარხნის პარტიკომის, პროფკომის და კომკავშირის მდივნის შესახებ, რომლებიც მშრომელი ხალხის კუთვნილ ფულს ითვსებენ;

„ღვინის ქურდები“ — ფილმი მოგვითხრობს ერთი ღვინის ქარხნის მესვეურთა ჯგუფზე, რომლებიც ანიაგებენ სახელმწიფო ქონებას;

„ღიმილის ბიჭები“ — ფილმი მოგვითხრობს ჩვენს საამაყო კოლხეთის რაიონზე.

ზვიად ზვიადიშვილი
(რუსთავი)

გამოცდილება გაიზიარებენ

ჯებან პრეს სააგენტოს ცნობით,

კლუბის კედლის გაზეთი

საბჭოთა კავშირში სამთენახვერიანი ვიზიტით იმყოფებოდა ცნობილი იაპონური ფირმის „მიცუბისის“ დელეგაცია 350 კაცის შემადგენლობით.

ვიზიტის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში არსებული შრომის ორგანიზაციისა და საწარმოო ტექნოლოგიის გაცნობა-გადაღება.

იაპონელებმა იმოგზაურეს 1500-ზე მეტ მოწინავე ფაბრიკა-ქარხანაში, სადაც სტუმრებს დაუფარავად აცნობდნენ ყოველივე ახალსა და პროგრესულს.

სამშობლოში დაბრუნებისას აღფრთოვანებულმა იაპონელებმა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადეს, რომ მათზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოურ წარმოებაში. (და არა მარტო წარმოებაში) ყოველ ფეხის ნაბიჯზე დახერხებულმა ლოზუნგმა „დიდება შრომისა“, რომელიც უდიდეს რიგს ასრულებს შრომის ნაყოფიერების განუზრერლ ზრდაში.

„მიცუბისელები“ აპირებენ დაუყოვნებლივ გადაიღონ ეს სასარგებლო მონაწილე გამოცდილება. ამასთან იმედოვნებენ, რომ მათს მაგალითს მთელი ქვეყნის მასშტაბით მიბაძვენ სხვა ფირმებიც, რაც მათი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობს იაპონიის ეკონომიკის კიდევ უფრო დაწინაურებას.

სააგენტოთა მონაცემები ჩაიწერა ფაქტის კომპიუტერზე

მტოპველების უზრავლესობამ და აგრეთვე პოტენციურმა მტოპველებმა ტოპაზე ხელი ჩაიქნეს და სხვათა მსგავსად ტკეპაზე გადავიდნენ.

მაგრამ ყველა დროს თავისი კანონი მოაქვს და მოულოდნელად გამოცხვ კანონი — ყოველგვარი ხანის ტოპვისთვის სასჯელის გაუქმების თაობაზე.

ჰოდა, საბოლოოდ ირწმუნეს რა ამ კანონის ცხოველი ძალა, თავი წამოყვეს ქრონიკულმა მტკეპნელებმა და მათთან ერთად, უწინდელმა მტოპველებმა, მაგრამ...

დექანიკური საამქროს მგლობავს განა შეუძლია გადაიციქეს ლომების მომთვინიერებლად, ან ღიდალ ნიკიერი მოცეკვავე ძაღვის გაფურჩქნის ხანაში რომ ცეკვას ჩამოწორდება და გაფუფდება, ამის მერე, რომც მოინდომოს, კიდევლა შეძლებს თავისი ცეკვით ხალხს კვლავ აღრიდელ დონეზე მიანიქოს კმაყოფილება?

გურამ ინსარიძე

ოთხხირიანი ზმნა

ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონი

ძ

- ძალადობით — განზრახ ომობილებით
- ძალადური — დის სიყვარულის ძალა
- ძალათი — ათი კაცის ძალის მქონე
- ძარღვიანი — ძირაზე მოფენილი ღვია
- ძეხვეული — უწონოდ ჩასუქებული ვაჟიშვილი
- ძეჭვიანი — იები ეკლიან ბუნჩებში
- ძვირისმთქმელი — ვინც ძვირს აფისებს (რაიმეს)
- ძიება — ბიძიდ თავის გამოცხადება
- ძირიანი — ქვემოთ მოფენილი იები
- ძირითადი — ქვევიდან აღი
- ძირძველი — ფსკერგაცვეთილი
- ძლიერება — მჭიდროდ ჰქონდა მიბმული
- ძმარვა — რვა ძმა
- ძმბიხული — ძმის ერთადერთი დედამიშვილი
- ძუძუ — ორი დედალი ცხოველი

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ: მანანა ალადაშვილი (სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჭუჭუაანი), ანტონ ბაღაჩაშვილი (აღიგენის რ-ნი, სოფ. უდე), ირმა და მაგული ბეგიაშვილები (გარდაბნის რ-ნი, სოფ. კუმისი), ნონა გაფრინდაშვილი (საჩხერის რ-ნი, სოფ. სავანე), სოსო გალდავა (გალი), გივი დიღმელიშვილი (თელავი), ტ. მაკაბიძე (ქარელი), მაკარ მაჭავარია (სოხუმი), კობა ხოსელია (ბოლნისის რ-ნი, დ. კაზრეთი), ტარიელ უფლისაშვილი (ჭიათურის რ-ნი, სოფ. რცხილათი), ივლიდა ქარქაშაძე (ტყიბული, სოფ. დაბაძველი), დავით დოლიძეშვილი (თბილისი), ზვიად ჭიჭიკოშვილი (რუსთავი).

გაზაფხულის მაჯამა

ანუ — „ტყემალი რომ მაჯამა...“

მე რა მაქვს? შენთვის მომეცა ...ატორტმანა ქარბი ტყე, მალი!
რაო?! აბრილის სუნთქვის იგრძნო

ვნატრობ: „ულრუბლო მომეცა, ტყემ ალი!
რაო...“ მზევ, ცისარტყელა ცას არტყე,
მალი —

ისე ვიცხოვრე, მომეც არაო, ვინძლო, გაუძლებს ყინვას
ტყემალი...

და თუ მომეცი — მომეცარაო... იმერი ხრეველი

ვიოლას სალონი

ჟურნალ „ნოქს ლებენში“ („ახალი ცხოვრება“) დაბეჭდილ შტეფან ზიგურტის ნახატს ახლავს შემდეგი წარწერა:

„მისტიფიკაციას, რომელიც დიალექტიკამ ჰეგელის ხელში განიცადა, სრულიადაც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ სწორედ ჰეგელს მივაკუთვნოთ პრიორიტეტი იმ საკითხში, რომ მან მოგვცა ამომწურავად და დასაბუთებულად დიალექტიკის მოძრაობის ზოგადი ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას. საჭიროა იგი გადმოვაყირავოთ, რათა მისტიკურ გარსს შინგით რაციონალური მარცვალი აღმოვჩინოთ.“ (ქ. მარქსი „კაპიტალი“, I ტ. შესავალი).

მოგვარება ნიპა სიმონიშვილმა

წაკიპურტები

საძილე საუბარება

როდესაც უძილობა მაწუნებს, ჩემი წარსულის გახსენებას ვიწყებ. ისეთი ნაღველი შემომაწვება ხოლმე, მაშინვე რული მეკიდება თვალზე.

გაუზუნა

აბა, რანაირად გეკამათობ, როცა თქვენ ყველაფერში მეთანხმებით?

მიღრეპილება

სულიერი საზრდოც კი მასუქებს.

წარმატება

ჩემი ლექსების წიგნი რომ გამოვიდა, მე დავიტაცე უკანასკნელ ეჭემალარამდე.

მამაკაცის თვალსაზრისი

მე ჯერ მხოლოდ 40 წლისა ვარ, ჩემი ცოლი კი უკვე 40 წლისა!

სიღვინსტრ ბალაგოზი (უნგრეთი)



Die Mystifikation, welche die Dialektik in Hegels Händen erleidet, verhindert in keiner Weise, daß er ihre allgemeinen Bewegungsformen zuerst in umfassender und bewußter Weise dargestellt hat. Sie steht bei ihm auf dem Kopf. Man muß sie umstülpen, um den rationalen Kern in der mystischen Hülle zu entdecken.

მტოპველთა გედი

ერთ კაცს-ვიცნობდი — ტოპვა უყვარდა, ისე შორს შესტოპავდა ხოლმე, რომ... უკანასკნელად, დაზურულ აუზში ვნახე, კომპიუტერიდან თავით გადმოხტა და თუმცა ლამაზად ჩაეშვა წყალში, მაგრამ ამოყვინთული კი არა, მას შემდეგ არც მკვდარი და არც ცოცხალი, საერთოდ აღარ მინახავს.

კიდევ ერთ მტოპველს ვიცნობდი...

უკანასკნელად სასადილოში ვნახე — ის იყო კატელეტში ჩანგალი გაუყარა და პირისკენ წაიღო, რომ რამოდენიმე წამით, დარბაზში სინათლე ჩაქრა და... მას შემდეგ არც მტოპველი და არც ის ჩანგალი თვალით აღარავის უნახავს.

ერთ ისეთ მტოპველსაც ვიცნობდი ტოპვის ჯარდა, ფეხბურთის თამაშზე რომ გიედებოდა...

უკანასკნელად, ერთი გუნდის შეკრებულში ვთამაშობდით

(თერთმეტი-თერთმეტზე), მოედნის ცენტრში იდგა და — პასი, პასიო, მიყვიროდა. სანამ თავი ჩაღუნე და ბურთს ფეხს ამოვარტყი — მტოპველი მოედნიდან გამჭრალიყო.

კიდევ ერთი მტოპველი ვიცნობდი, უბახუსოდ რომ არ ტოპავდა... ერთხელ მეტუფეტეს აუზირდა, გინდა თუ არა, ცივი, ლუდი დამალევიხეთ. მეტუფეტემ — საიდანო?! მტოპველმა — მაცივრის კარი გამოაღო, შიგ შევიდა და... სამუდამოდ უკვლოდ გააქრა.

ერთ, სულ სხვა, განსხვავებული ტიპის მტოპველსაც ვიცნობდი... ბოლოს კიჭყინად გადაიქცა და ოქვანეში შესცურა, მაგრამ... რამოდენიმე დღეში, კონსერვის ქილაში ამოჰყო თავი.

ასეთი იყო მოკლედ მტოპველთა ბედი ქვეყანაში და ყურადღებს რა ეს გარემოება, -სალ-სალამათი

მშვიდად, აუჩქარებლად საბჭოთა კავშირიდან

თანადგომა ლიბვას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მითაუბრს ლანდსბერგის ვასა-
ოცრად მოხდა სასწაული. ერთი
წლის წინათ კონსერვატორიის ნა-
კლებად ცნობილი პროფესორი
დღეს „საიუდისის“ ლიტვის
დამოუკიდებლობისათვის მებრ-
ძოლი მოძრაობის პრეზიდენტია.
ასე ათასობით ლიტველი თანაუგა-
რძობს და ეთაყვანება სახალხო
გმირს, რომლის გამოსვლებიც
შინის ზარს სცემს კრემლს, რად-
გან „საიუდისის“ ძაღვს ვახდეს
თუ ბზარი, რომელსაც იმპერიის
ნგრევა მოჰყვება. ამ ნაპრაღის
გაჩენას კი ლანდსბერგის მიაწე-
რებ.

სალამოს შეიღის ნახევარია. დე-
პუტატები მოწოდებენ საბრძოლო
მარშით უკვე გამოვიდნენ ლიტ-
ვის უზენაესი საბჭოს წევრობიდან.
სხდომა დამთავრდა. ფეხზე ჩამო-
მწყდარი ხალხის მასა კი არ იშ-
ლება. ლიტველები ლანდსბერგის
გლავანს ბოლოს და ბოლოს ბრინ-
ჯის კარები ხალხის რჩეულს უთ-
ვობს გზას. მის კოცნაზე, ხელით
უცხადან. შუა ხნის მანდილოსანი
ლანდსბერგის ყვავილების თაი-
ნულს აჩვენებს.

— ბატონო ლანდსბერგის, რო-
გორ მოხდა ასეთი მკვეთრი გარ-
დასახვა სულ რაღაც ერთ წელი-
წადში? როგორ მოხვედრით აქამ-
დე?
— თეროულად ერთ დღეში
დავიბადეთ. 1988 წლის 3 ივნისს
შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი,
რომელმაც დასაბამი მისცა „საი-
უდისს“. მისი ინიციატივის პერიოდ-
ში ხანგრძლივი აღმოჩნდა. ლიტ-
ვა ძალიან იერს მუდამ კულტურ-
ულ წინააღმდეგობას ამჯობინე-
ბდა: ასეა დღესაც. ცოტამ თუ
იციის, რომ ჩვენამდე იყო ბრძო-
ლის გრძელი წლები.

— ეს როდის?
— 1941 წლის ივნისში თმის
დაწყებას მოჰყვა ანტისაბჭოური
სახალხო აჯანყება. დანაშაულმა
მთავრობამ ერთი თვეც კი ვერ
ბიარსება: ნაცისტებმა თანამშრო-
ლობაზე ვერ დათანხმდნენ და დაი-
თხოვეს. 1944 წლის საბჭოთა
ოკუპაციის ხანგრძლივი პარტიზა-
ნული ომი მოჰყვა. რვა წელიწადს
გოძილდებოდა სისხლის ღვრა, ეგ-
რეთროლდებოდა „ღამეული ზრძო-
ლები“, რომლის წინააღმდეგაც
სტალინმა ყველა ღონე იხმარა:
გამოიყენეს გარი, ათასობით ლიტ-
ველი გადაასახლეს. ჩვენი ვარაუ-
დით, 39-52 წლებში სამშობლო-
ნიანმა ლიტვამ მოსახლეობის მე-
სამედი დაჰკარგა. ასეთი დიდი და-
ნაკარგი თავსმოხვეული ომისაგან
არც ერთ სახელმწიფოს არ გა-
ნუცდია.

— დაკუბრუნდეთ დღევანდე-
ლობას. როგორ დაიბადა „საიუ-
დისი“?

— „საიუდისი“ სისხლიანმა წა-
რსულმა, ჩვენს თავს დატეხილმა
ისტორიულმა უსამართლობამ, მო-
ახლოებულმა ეკოლოგიურმა და
კულტურულმა კატასტროფამ წა-
რმოშვა. 80-იანი წლების დამ-
დგეს მეცნიერებმა გამოაშკარა-
ვეს გარემოს გაუქუყიანების მრავ-
ალი ფაქტი: ბევრი დაბინძურე-
ბული ჰა, არარითი მკვდარი მდი-
ნარი, ნემანის აუზის დიდი გასა-
ჭირი. და ამ დროს ხელისუფალით
მეტად სახიფათო აღვიქვამდით
მეტრი მეგაცენტრალის შენება და-
იწყეს, გააჩაღეს ნაფთობომპოვი-
ბელი პერფორაცია, რომლის შე-
დეგებზეც არავინ დაფიქრებულა.
გენეტიკოსებმა გაგვფრთხილეს:
თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე
წელიწადში გარემოს გაუქუყიანე-
ბა, ალკოჰოლიზმი, ნარკოტიკები
და დეპრესიები გენეტიკურ ცვლი-
ლებებს გამოიწვევს. გორბაჩოვმა
მა მოსკოვში დაიწყო საჯაროება,
მაგრამ ჩვენთან უძრავა კიდე-
ორი თუ სამი წელი გრძელდებო-

და. — როგორა გააქტიურდა ხა-
ლხი?
— მეცხრამეტე პარტიკონფერენ-
ციის დღეებში არჩევნებით
დაიწყო ყველაფერი. დემოკრა-
ტიულ კენჭისყრას ველოდით, მა-
გრამ ჩვეულებრივად, კანდიდა-
ტურები ზემოდან შემოგვთავაზეს.
ჩვენ არ ვცანით დღეებგან უფ-
ლებამოსილება, 24 ივნისს კი კა-
თედრალურ მოედანზე საპროტეს-
ტო, რაღა თქმა უნდა, არასანქ-
ცირებული მიტინგი გაიმართა.
ლოზუნები შევართვეს, მაგრამ
ახალგაზრდებმა მანიფესტები ზუ-
რგზე დაიმარეს და მიუღ ქალა-
ქში ტრიალებდნენ როგორც მო-
სიარულე რეკლამები — „სენდვი-
ჩები“. მოვიწყეთ ყველა დღე-
გატი. სხვებთან ერთად ბრაზაუ-
სისაც მოვიდა, რომელმაც ხალხ-
თან საერთო ენა ადვილად გა-
მონახა. დღეს იგი ლიტვის კომ-
პარტიის მდივანია.

ბურუსით მოცული მომავლისა-
კენ გადაიღვა პირველი ნაბიჯი,
რომელიც სარისკოდ გვეჩვენებო-
და, გვეშინოდა. არ გვეგონა, ხა-
ლხი თუ მოგროვდებოდა, მაგრამ
40 ათასმა კაცმა მოიყარა თავი.
ხალხი მწყობრად მოაბიჯებდა.
მომიტინგეთ ძველი ეროვნული
დროშებით მოვინათ, რომელთა
დაკანონება დღემდე ვერ მოხე-
რბა. გვრძობდა ჩვენს ერთი-
ანობას, ვხედავდი მოხუცთა აცრე-
მლებულ თვალებს. მიჭირს იმ წუ-
თებში მოზღვაებული გრძობე-
ბის გადმოცემა. წამოწყვიმა, მა-
გრამ ხალხი არ დამოიხლო. ორმოც-
წლიანი ღუმილის შემდეგ პირვე-
ლად წამოვიწყეთ ლიტვის ძველი
ეროვნული ჰიმნი. ახალგაზრდებს
იგი არასოდეს მოესმინათ; ისინი
ტუჩებს ამოძრავებდნენ და სულ-
განაბლნი უფროსებს შესცქერო-
დნენ, რომ სიტყვები მათ ბავებ-
ზე ამოეკითხათ. ეს არ იყო უბ-
რალოდ მელოდია, იგი ლოკავს
მიაგავდა.

— გასმოდით, რა ქარიშხალი
დაატეხეთ თავს მთელს საბჭოთა
კავშირს?
— რა თქმა უნდა, არა. მხო-
ლოდ საკუთარი პრობლემები გვა-
მობრავებდა. ჩვენ სხვა გამოსა-
ვალი არ გვქონდა. 23 აგვისტოს
რინტრომ-მოლოტოვის პაქ-
ტის წლისათვის დაკავშირებით
გამართა მეორე მანიფესტაცია.
ვხედავდი პარკში თავმეყრილ
ორასორმოცდაათათას მომიტინ-
გეს და მავინდებოდა, რომ ამ
ერთი წლის წინ, სწორედ ამ
დღეს, მილიცია იყო გამზადებუ-
ლი ორასობით მომიტინგის გასა-
რეკად.

— თქვენი ეკოლოგიური და
ზნეობრივი პრობლემების გადაწყ-
ველა საბჭოთა კავშირის ფარ-
გებშიც შეიძლება. რატომდა გინ-
დათ გასვლა?
— ჩვენი უპირველესი საზრუ-
ნავი იმიგრაციის შეზღუდვაა, დრო
არ ითმენს. ათ თუ ოც წელიწად-
ში ლიტველები საკუთარ მიწაზე
უმცირესობა ვიქნებით. არ ვესურს
ლატვიისა და ესტონეთის მდგო-
მარებში აღმოვჩნდეთ. თუ პო-
ლიტიკოსთა უნიტ ვილაპარაკებთ,
ნათელია, რომ გარდაქმნა კუს
ნაბიჯებით მიიწვეს წინ: ამიტო-
მაც ლიტვის სახელმწიფოს აღდ-
გენა აუცილებელია; მხოლოდ
ამის შემდეგ გაუმჯობესდება ჩვე-
ნი ურთიერთობა საბჭოთა კავში-
რში დაჩქარება სხვა რესპუბლი-
კებთან. საბჭოთა კავშირი ჩვენ
სუვერენულ რესპუბლიკათა ერ-
თობად გვესახება. შესაძლოა, მო-
მავალში აღმოსავლეთ ევროპის
ქვეყნების თანამეგობრობას მი-
ვალწიოთ.

— ეროვნული საკითხისადმი მი-
ძღვნილ პლენუმზე გორბაჩოვმა

ხომ განაცხადა, რომ საზღვრები
ხელშეუხებელია.

— ეს მას სჩვევია. იტყვის რა-
იმეს, შემდეგ განზიდება და ისე
აღეწენს თვალს მოვლენების გან-
ვითარებას. მისი სიტყვები ნამდ-
ვილი პოლიტიკური გმირობაა,
მაგრამ ჩვენ კონკრეტულ საქმე-
ებს უფრო ვაფასებთ. სანამ გენე-
რალ როდინოვს (თბილისის და-
რბევის ორგანიზატორი) არ გა-
მოვგზავნის, მანამ მის საქმიან-
ობას დადებითად ვაფასებთ.

— ე. ი. თქვენ გსურთ საბჭო-
თა კავშირის შემადგენლობიდან
გასვლა.

— შევთანხმდეთ: ჩვენ არ ვი-
თხოვთ საბჭოთა კავშირიდან ხვა-
ლდე გასვლას. ჩვენს მიზანს წყნა-
რი და მშვიდობიანი გზით უნდა
მივაღწიოთ. საბჭოთა კავშირის
ნგრევა ტანკებით საყოველთაო
კატასტროფა აღწებოდა. ცენტრის
ეგოლიზმის დრო სჭირდება. ჯო-
ჯონიუტრმა იმპერიულმა აზროვნე-
ბამ სულ აზრს უნდა დაუთმოს
გზა.

— ტანკები თუ თქვენამდეც
მოვლენ?


— ჩვენ მათ ყვავილებით შე-
ვეგებებით. ისე კი, ტანკების გა-
მოგზავნა უაზრო იქნებოდა. სომ-
ხეთში ძალის გამოყენებამ ახალი
კიდევ უფრო მწვავე პრობლემე-
ბი წარმოშვა. გარდა ამისა, ჩვენ
ლამაზობით არ ვცდებით. ჩვე-
ნი არც ვაფიცვებოდა და არც ხა-
ნგრძლივი საპროტესტო აქციები.
განა აზრი აქვს წყნარ ქალაქში
ტანკების გამოგზავნას? ეს ხომ
აბსურდის თეატრი იქნება.

— თქვენს მომავალ გეგმებზე
არაფერს გვეტყვი?

— საკითხავია, ნამდვილად სურს
რუს ხალხს საკუთარი თავისუფ-
ლება? არ ვაპირებ რუსეთის შე-
ურაცხელობას, მაგრამ ისინი ხე-
ლსუფალთაგან შევიწროვებს
შეგუებული არიან. საუკუნეების
მანძილზე რუსი ლიდერები სახე-
ლმწიფოს განვრცობას ესწრაფო-
დნენ და არასოდეს გაუწყვიათ
ანგარიში თვალუწვდინელი იმპე-
რიის ხალხებისათვის. რუსი გე-
ნაწილობრივ იზარებდა ამ პოზი-
ციას. დღეს რუსები არჩევანის
წინაშე დგანან. სწორედ ამიტომ
ვიმეორებთ გასულ საუკუნის
ლიტველ მოამბონეთა ლოზუნებს:
„გმირები ჩვენი და თქვენი თა-
ვისუფლებებისათვის“.

„**პროკრიმ დელა სერა**“
5 X. 1989
იტალიურიდან თარგმნა
ირინა კობიაშვილი.

გთხოვთ, მონორარი გადარიც-
ხით „ეროვნული მადლიერების
ინსტიტუტის“ ფონდში.



სტატია 5 ოქტომბერს დაიბეჭდა. დღეს ვიტყვას ლანდსბერგისი ლი-
ტვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თამაშდომარეა. სურათებზე ხწო-
რედ ლიტვის უმაღლესი საბჭოს 11 მარტის პირველი სესია აღებუდი-
ლო, როდესაც გამოცხადდა ლიტვის დამოუკიდებლობა და აირჩიეს
სახელმწიფოს მეთაური. მარცხენა სურათზე გამოსახულია ლანდსბერ-
გისი არჩევანზე, მარჯვენაზე კი — არჩევის შემდეგ.

ახლანახან ჩვენი ვაზეთები იუწყებოდა, რომ თბილისში გაიმართა
ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მხარი დაუჭირა ლიტველი ხალხის
სამართლიან ბრძოლას. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციას დღეს
ვაქვეყნებთ. ეს კი სხვა სახალხო დემუტატის ოური აფანახი-
ევის სიტყვები გახლავთ: „ქალაქობაზე აგებული იმპერია არ შეიძლება
მუდმივი იყოს. მას დაწერვა უწყობა, რათა მომავალში ნორმალური
სახელმწიფოთაშორის ურთიერთობები დამყარდეს“.

ლიტვაში შექმნილ სიტუაციას ფართო ადგილს უთმობს უცხოეთის
პრესა. რესპექტაბელურმა ამერიკულმა გაზეთმა „უოლ-სტრად ჯორ-
ნელ“-მა არცთუ ორაზროვნად იხუმრა: „ლიტვა გაქორწინებას ითხოვს,
მოსკოვი კი აღიშენს მოითხოვს“. და შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად
ხვამს კითხვას: „რამდენს მოხთხოვდა დიდი ბრიტანეთი ინდოეთს, თუ
ლიტვა 21 მილიარდი მანეთი ღირს?“
როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

ლიტვის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მიტინგის რეზოლუცია

ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენა და ამა-
სთან დაკავშირებული მოვლენები მთელი მსოფლიოს
სურათების ცენტრშია. არსებობს სასაზღვროება, რომ
საბჭოთა რუსეთის იმპერიული ძალები ადვილად ვერ
შეეგუებან დამოუკიდებელი ერის განთავსულების
პრეცედენტს. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, ამ მე-
ტად კრიტიკულ სიტუაციაში მხარი დავუჭიროთ ლი-
ტველ ხალხს.

1990 წლის 24 მარტს ილია ჭავჭავაძის საზოგადო-
ების, საქართველოს სახალხო ფრინტის, უნივერსიტეტ-
ის პრეს-კლუბის, თბილისის პოლიტიკური კლუბის,
ივანე ჯავახიშვილის საზოგადოების, საქართველოს
რესპუბლიკური პარტიის, არჩილ ჯორჯაძის საზოგა-
დოების, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი ორგანიზაციის (სეგო), საქართველოს ვენის
კავშირის, საქართველოს ინვალიდთა ასოციაციის
(დვთის შეილთა კავშირი), საქართველოს მწვანეთა პა-
რტიის, ასოციაცია — ეროვნული თანხმობის მიერ
ლიტვის მხარდსაპერად თბილისში გამართული მრავ-
ალათსიანი მიტინგის მონაწილენი მოვითხოვთ:

1. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ სცნოს ლი-
ტვის დამოუკიდებლობა;
2. საბჭოთა მთავრობამ შეწყვიტოს ლიტვის საში-
ნო საქმეებში ჩარევა;
3. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მოხსნას ლი-
ტვის ეკონომიკური ბლოკადა;
4. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოიყვან-
ოს ლიტვიდან საოკუპაციო ჯარები;
5. საბჭოთა მთავრობამ სასწრაფოდ დაიწყოს მო-
ლაპარაკება ლიტვის მთავრობასთან ეკონომიკური და
სამხედრო ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის გაე-

კვირფასო რედაქცია

„ახალგაზრდა ივერიელის“ 29
მარტის ნომრის სტატიაში „ბოლო
ყრილობა?“, რომელიც ვაზეთ „კო-
მსამოქალაქთა პრეზიდენტმა“ გად-
მოებეჭდილი, არის დამეგებული ორი
კორექტურა. ვფიქრობ, ამ ისტო-
რიული ყრილობის ციფრობრივი
მოხატვების კი არ შეიძლება და-
მახინჯდეს. მე ყრილობაზე ასე
ვთქვი: „რომელ ორგანიზაციას
ესაუბრობთ? დღესათვის საქართ-
ველოს კომკავშირში, 640 ათასი
წევრი ირიცხება, ეჭვი არაა, რომ

ეს ყველაფერი ვითა. ვეცდები და-
ვასაბუთო: გასული წლის დასაწყ-
ისში რაკომში აღრიცხვაზე იღვა
11 ათასი ახალგაზრდა, წელს რეა-
ლურად — 6 ათასი დავს. საწვე-
როს კი 2 ათასი იხილს, ისიც ვადა-
რიცხვით. ასე რომ 640 ათასი კომ-
კავშირელი, თავის მოწყურება...
ლევან ჩიქვანიძე,
პატივისცემით, ალექ თბილისის
მთაწმინდის (ყოფილი კალინი-
ნის) რაკომის პირველი მდი-
ვანი.